ბრძანება:**ბ42. 42250594**

თარიღი:**28/02/2025**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და “ე.ვ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე და 77-ე მუხლების, „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N4-ის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი თანახმად **დანართი 1-ისა**;

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით, დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი **დანართი 2-ის** შესაბამისად;

ბ) სტრუქტურული ერთეულების/საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები **3-11 დანართების** შესაბამისად, მათ შორის:

- ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ **(დანართი 3);**

- ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების და შპს-ების შესახებ **(დანართი 4);**

- ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ **(დანართი 5);**

- ინფორმაცია სამსახურის/ორგანიზაციის ნაერთი მონაცემების შესახებ **(დანართი 6);**

- ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულების თაობაზე **(დანართი 7);**

- საშულოვადიანი სამოქმედო გეგმის 2024 წლის შეფასების თაობაზე **(დანართი 8**);

- ინფორმაცია 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ **(დანართი 9);**

- ინფორმაცია 2026-2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (**დანართი 10);**

- ინფორმაცია 2026-2029 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ (**დანართები 11).**

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან

დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 თებერვლის №42.42240599 ბრძანება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლექსო თოდუას.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებელის N3), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ძალაშია 2025 წლის 1 მარტიდან.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი